



IV. დავალების წარდგენა



ბავშვობიდან დღის განმავლობაში ჩვენ უწყურებთ როგორ მოძრაობენ ადამიანები, მანქანები, ციურის სხეულები და

ობიექტები. ცხოვრებაში და მეცნიერებაში ძალიან მნიშვნელოვანია შესწავლილი იყოს მოძრაობა.



ასევე გაეცანით დამხმარე ვიდეო გაკვეთილებს, დამხმარე სასწავლო რესურსებს:



კოვლეთსური დავალება

მარათონი – მოძრაობის აღწერა

დავალების და ახალი სასწავლო ერთეულის დაწყებამდე, დაფიქრდით და უპასუხეთ კითხვებს: – როგორ ფიქრობთ, რაზეა დამოკიდებული მოძრაობა? რა იწვევს მოძრაობას? – გამოთქვით ვარაუდი, ან ჩამოაყალიბეთ ჰიპოთეზა: შეიძლება თუ არა მოძრაობის აღმწერი რაიმე ფორმულის, განტოლების ჩაწერა? – რას აქცევთ მოძრაობისას ყურადღებას, რა შეიძლება იყოს მოძრაობის აღმწერი ცვლადები?

დავალების შესრულებისას ჩვენ განვიხილავთ მოძრაობას სარბენ ბილიკზე, მარათონს. იმისათვის რომ დავალება მეტად აღქმადი და სახალისო იყოს, განვიხილოთ მორბენალი რამოდენიმე კუს შემთხვევა. დავალება იხილეთ **➡ ბმულზე**





შენი დავალება

ჩვენ განვიხილავთ მოძრაობას სარბენ ბილიკზე, მარათონს. იმისათვის, რომ დავალება მეტად აღქმადი და სახალისო იყოს, განვიხილოთ მორბენალი რამოდენიმე კუს შემთხვევა. იხილეთ დავალება ბმულზე:

- უწყურეთ სარბენ ბილიკზე მორბენალ რამდენიმე კუს და უპასუხეთ დავალებაში მოცემულ კითხვებს თანმიმდევრულად:
- ამოიწერეთ ინფორმაცია რა დროში რამდენ მეტრს გარბის თითოეული კუ
- დააორგანიზეთ ინფორმაცია ცხრილში და მოახდინეთ სიტუაციის ფორმულირება; გააანალიზეთ როგორ არის დაკავშირებული განვლილი მანძილი დროსთან. (დავუშვათ თითოეული კუ მოძრაობს თანაბრად).
- წარმოდგინეთ მონაცემები საკოორდინატო სისტემაზე, გამოიკვლიეთ რისი ფორმა აქვს გრაფიკს.
- შეადარეთ თითოეული კუს სიჩქარე როგორც გრაფიკზე წარმოდგენილი ინფორმაციით, ასევე ფორმულით მოიძიებული ინფორმაციით.

IV. დავალების წარდგენა



კოვალენტური დავალება

დავალება წარმოადგინეთ რეფერატის სახით, ან შექმენით მსგავსი დავალება:

დავალების წარდგენისას უპასუხეთ კითხვებს:

- I. როგორ არის შესაძლებელი მოძრაობის აღწერა? როგორ არის შესაძლებელი მოძრაობის მათემატიკური მოდელის შექმნა?
- II. როგორ ააგეთ კუს მოძრაობის აღმწერი გრაფიკი? რომელი სიდიდე შეუსაბამეთ Ox ღერძს და რა Oy ღერძს? რომელია დამოუკიდებელი და რომელი დამოკიდებული ცვლადი?
- III. თუ ორი კუს მოძრაობას ადვწერთ გრაფიკებით, როგორ შეგვიძლია დავადგინოთ რომელი კუ მოძრაობდა უფრო სწრაფად? პასუხი დაასაბუთეთ
- IV. თუ ერთმა კუმ დაიწყო მოძრაობა მეორე კუზე ადრე, რის მიხედვით შეგვიძლიათ დაადგინოთ რა დროის შემდეგ შეძლებს დაწევას? რა უნდა გააკეთოს მეორე კუმ რომ დაეწიოს?
- V. რეალურ ცხოვრებაში რა ტიპის მოძრაობის აღწერა შეგვიძლიათ?